

„დამტკიცებულია“

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს
სხდომაზე ოქმი №3 დადგენილება №15
1.05. 2013 წ.

საბჭოს თავმჯდომარე,

პროფესორი: ----- მ.ბერიძე

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის
მარეგულირებელი წესი
(კოდიფიცირებული)**

მუხლი 1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის მიღება

1. სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტთა მიღებას ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა დოქტორანტურა) პროგრამებზე, პროფესიულ პროგრამებზე და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2. პროფესიულ პროგრამაზე და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია პროფესიული ტესტირება.

პროფესიული პროგრამის მაღალ საფეხურზე, სადაც გათვალისწინებულია დაბალი (საწყისი) საფეხური, ჩარიცხვის საფუძველია წინა საფეხურის დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტი და საფეხურიდან საფეხურზე გადასაყვანი გამოცდა.

3. ბაკალავრიატის საფეხურზე საქართველოს მოქალაქეებისათვის სტუდენტის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგები.

4. მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხორციელდება საერთო სამაგისტრო გამოცდის შედეგებისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების საფუძველზე.

5. დოქტორანტურაში მიღების წესი განისაზღვრება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების „დოქტურანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების“ შესაბამისად.

6. სტუდენტების საგრანტო კონკურსში გრანტის მოსაპოვებლად/გასაუმჯობესებლად მონაწილეობის საკითხს აწესრიგებს „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულება“.

7. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტებს/მაგისტრანტობის კანდიდატებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი მიენიჭება

კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

8. უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების/პროფესიული ტესტირების შედეგების საფუძველზე, უნივერსიტეტში ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის შედეგად.

მუხლი 2. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაყვანის წესით ჩარიცხვა

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადაყვანის წესით ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. გადაყვანის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს სტუდენტს, რომელიც სწავლობს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უსდ), ან იმ არავტორიზებულ უსდ-ში, რომლის საგანმანათლებლო პროგრამის ნაწილი კანონმდებლობით დადგენილი წესით ითვლება აკრედიტებულად, ან იმ უცხო ქვეყნის/ოკუპირებული ტერიტორიის უსდ-ს სტუდენტს, რომლის პროგრამა და შედეგები აღიარებული იქნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ.
3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში, კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილ ვადაში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დარეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ ვაკანტურ ადგილებზე. დაუშვებელია მობილობა პროფესიული განათლების პროგრამიდან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე.
4. მობილობის უფლება სტუდენტს წარმოეშობა უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლების ერთი წლის შემდეგ. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაშიც პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დაწესებულება ლიკვიდირებულ იქნა უფლებამონაცვლის განსაზღვრის გარეშე, დაწესებულებამ დაკარგა ავტორიზაცია ან დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა აღარ ხორციელდება.
5. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ შექმნილ ელექტრონულ პორტალზე დარეგისტრირებული მობილობის მსურველი პირი, რომელიც დადგენილ ვადაში არ მიმართავს განცხადებით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, კარგავს აღნიშნულ ფაკულტეტზე ან საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
6. გადაყვანის წესით კონკურსანტის ჩარიცხვის შემთხვევაში მიმღები ფაკულტეტის წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილებით დგინდება სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამის თავსებადობა შესაბამისი კრედიტების აღიარებით.
7. გადაყვანის წესით ჩარიცხვის წინაპირობას განსაზღვრავს შესაბამისი ფაკულტეტი.

მუხლი 3. შიდა მობილობა

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შიდა მობილობა ხორციელდება პროფესიულ, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლების პირველი სემესტრიდან, ხოლო დოქტორანტურის პროგრამებზე სწავლების მესამე სემესტრიდან, როგორც ფაკულტეტის ფარგლებში, ისე ფაკულტეტებს შორის წელიწადში ორჯერ შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დაწყებამდე. სწავლების პერიოდში არ შედის ის დრო, რომლის განმავლობაში პირს შეჩერებული ჰქონდა სტუდენტის სტატუსი. შიდა მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს უმაღლესი განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში.

2. შიდა მობილობა ხორციელდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ფაკულტეტების სპეციალობებზე ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს სტუდენტს იმ შემთხვევაშიც, როცა მას შიდა მობილობის გამოცხადების მომენტისათვის შეჩერებული აქვს სტუდენტის სტატუსი.

3. შიდა მობილობის განსახორციელებლად იქმნება საუნივერსიტეტო კომისია. კომისია ადგენს შიდა მობილობის მსურველად დარეგისტრირებული სტუდენტების მიერ გავლილი პროგრამის და მიმღები ფაკულტეტის სასწავლო პროგრამის თავსებადობას, საჭიროების შემთხვევაში (მიმღებ ფაკულტეტზე კონკურსის არსებობის, ან თუ ფაკულტეტზე ეროვნულ გამოცდებზე განსხვავებული საგნებია ჩაბარებული და ა.შ.) ნიშნავს წერილობით გამოცდას და/ან გასაუბრებას, აკეთებს შესაბამის დასკვნას.

4. საუნივერსიტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე უნივერსიტეტის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებით. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები/ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები ბაკალავრიატში სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, შიდა მობილობით საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის უფლებას მოიპოვებენ ვაკანტური ადგილების რაოდენობის გადაჭარბებით.

5. სტუდენტს სწავლის განმავლობაში ორჯერ შეუძლია შეიცვალოს თავისი ძირითადი სპეციალობა.

6. . სტუდენტის მიერ არჩეული პროგრამის ფარგლებში(ბაკალავრიატში, მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში, ასევე პროფესიულ პროგრამაზე) თავისი პროფილის განსაზღვრის, სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და მიღწევების გასაუმჯობესებლად აუცილებელ ინფორმაციის, კონსულტაციისა და დახმარების მიღების მიზნით, თითოეულ ფაკულტეტზე შემუშავებულია მექანიზმი, რომლის საფუძველზეც უზრუნველყოფილია ასარჩევი პროგრამებისა და სასწავლო კურსების გამჭვირვალობა.

მუხლი 4. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (აგრეთვე იმ უსდ-დან, რომლის უფლებამონაცვლევ არის უნივერსიტეტი) გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. 2010 წლის 5 თებერვლამდე გარიცხული/ამორიცხული სტუდენტი განიხილება სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირად გარიცხვის/ამორიცხვის შესახებ ბრძანების გამოცემიდან ათი წლის განმავლობაში და ამ ვადაში უფლებამოსილია, მომართოს უნივერსიტეტს სტუდენტის სტატუსის აღდგენის თაობაზე, თუ გარიცხვის/ამორიცხვის საფუძველი არ არის ამ წესით დადგენილი სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

2. უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული სტუდენტის აღდგენის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელების დასაშვები ეტაპი განისაზღვრება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის რეგულაციის შესაბამისად, ფაკულტეტის მიერ ამორიცხვამდე ათვისებული პროგრამის აკადემიური ცნობის საფუძველზე.

3. უნივერსიტეტიდან გარიცხული/ამორიცხული სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვა ხორციელდება სემესტრის დაწყებამდე, ან სემესტრის დაწყებიდან ხუთი კვირის განმავლობაში.

მუხლი 5. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელება ერთიანი ეროვნული /საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე

ერთიანი ეროვნული /საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის გაგრძელების უფლების მქონე პირთა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვა ხორციელდება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 6. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ კრედიტების მოპოვების წესი

1. ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე კრედიტების წლიური დასაშვები ოდენობა განისაზღვრება 60-75 კრედიტით (60 ძირითადი, 15 დამატებითი).

2. სამაგისტრო პროგრამით დადგენილი სასწავლო კრედიტები (120 კრედიტი) უნდა შესრულდეს მაგისტრატურაში სწავლისათვის განსაზღვრული 4 სემესტრის განმავლობაში. მაგისტრატურაში კრედიტების წლიური დასაშვები ოდენობა განისაზღვრება წელიწადში 60-75 კრედიტით.

3. სადოქტორო პროგრამით დადგენილი სასწავლო და კვლევითი კრედიტები (180 კრედიტი) უნდა შესრულდეს დოქტურანტურაში სწავლისათვის განსაზღვრული 6 სემესტრის განმავლობაში, გამონაკლის შემთხვევაში, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით 5 სემესტრის განმავლობაში.

4. საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოპოვებული კრედიტების აღიარება ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად.

მუხლი 7. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის უფლება-მოვალეობები

1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება და მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კვლევაში;
- ბ) ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- გ) მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია უნივერსიტეტში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების თაობაზე და მოითხოვოს სასწავლო კურსების სილაბუსები;
- დ) მოითხოვოს ცოდნის სამართლიანი შეფასება და დადგენილი წესით გაასაჩივროს არასასურველი საგამოცდო შედეგები;
- ე) მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო დისციპლინების და გამოცდების ჩატარების ვადებისა და ფორმატის თაობაზე;
- ვ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის/სტუდენტთა მომსახურების შეფასება.
- ზ) საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ ძირითად ვადებში შეფასების გაუმჯობესების მიზნით სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილ კრედიტების ფარგლებში თვითდაფინანსების გზით განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი. ამ შემთხვევაში სტუდენტს სასწავლო კურსის შეფასებად უფიქსირდება უკეთესი შედეგი;
- თ) ისარგებლოს კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებებით.

2. უნივერსიტეტის სტუდენტი ვალდებულია:

- ა) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები; ბ) დაიცვას და შეასრულოს სტუდენტური ხელშეკრულების პირობები;
- გ) დაიცვას უნივერსიტეტის მიერ სასწავლო პროცესთან დაკავშირებით დადგენილი ვადები;
- დ) გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში და გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;
- ე) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
- ვ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას;

4. სტუდენტისათვის შეუფერებელ და არაეთიკურ ქცევად ჩაითვლება:

- ა) პლაგიატი- ნაშრომში სხვისი აზრისა თუ ნაშრომის ციტირება ავტორის მითითების გარეშე;

ბ) თამბაქოს სისტემატური მოწევა, გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა, რაც დადასტურდება უფლებამოსილი პირის მიერ შექმნილი დოკუმენტით;

გ) უხეში და არაეთიკური დამოკიდებულება, ძალადობა და შეურაცხყოფა სტუდენტების, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მიმართ;

დ) შეფასების მიღების მცდელობა გამომცდელოზე მუქარით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობითა თუ სხვა დაუშვებელი ხერხებითა და ქმედებით.

მუხლი 8. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) აკადემიური (პროგრამის და საგნების არჩევა) რეგისტრაციის გაუვლელიობა;

ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობა.

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა.

დ) აკადემიური შვებულება;

ე) ფინანსური დავალიანება;

ვ) პირადი განცხადება.

2. სტუდენტმა სტატუსის შეჩერების მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მოახდენს შესაბამის რეაგირებას. სტუდენტს სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, მისივე მოთხოვნის საფუძველზე დაუბრუნდება მხოლოდ ის თანხა, რომლის შესაბამისი მომსახურება მას არ მიუღია უნივერსიტეტისგან.

3. სტუდენტის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადაა 5 წელი, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სტუდენტი სწავლას აგრძელებს იმ სემესტრიდან, რომლიდანაც შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი (თუ სტუდენტს არ გააჩნია აკადემიური დავალიანება). უნივერსიტეტში სტატუსშეჩერებული სტუდენტის აღდგენა ხორციელდება სემესტრის დაწყებამდე ან სემესტრის დაწყებიდან ხუთი კვირის განმავლობაში. თუ სტატუსის შეჩერებამდე სტუდენტს ჩაბარებული აქვს სემესტრული შეფასების კომპონენტები (შუალედური გამოცდები, პრეზენტაცია და სხვ.), მისი აღდგენა შესაძლებელია დასკვნით გამოცდამდე, სემესტრის განმავლობაში ნებისმიერ დროს (თუ სტუდენტი მიღებული შეფასებების გაუმჯობესების მიზნით არ განაცხადებს წერილობით მოთხოვნას შუალედური გამოცდების ხელახლა ჩაბარების თაობაზე). ფინანსური დავალიანების გამო სტატუსშეჩერებული სტუდენტის აღდგენა ხორციელდება დავალიანების სრულად დაფარვის შემთხვევაში (ცვლილება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 სექტემბრის #47 დადგენილებით (ოქმი#7)).

მუხლი 9. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

ა) სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში 5 წელზე მეტი ვადით სტუდენტის სტატუსის შეჩერება;

ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;

გ) პირადი განცხადება;

დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად დადგენილ ვადებში;

ე) უნივერსიტეტის პერსონალის ან/და სტუდენტის ეთიკის კოდექსით და უნივერსიტეტის შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ვ) გარდაცვალება.

2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან 12 თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია, ისარგებლოს მობილობის უფლებით სხვა უსდ-ში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეუთავსებელია მიმღები დაწესებულების წესდებასთან.

3. სტუდენტმა სტატუსის შეწყვეტის მოთხოვნით განცხადებით უნდა მიმართოს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს, რომელიც კანონმდებლობით დადგენილ ვადაში მოახდენს შესაბამის რეაგირებას. სტუდენტს სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისივე მოთხოვნის საფუძველზე დაუბრუნდება მხოლოდ ის თანხა, რომლის შესაბამისი მომსახურება მას არ მიუღია უნივერსიტეტისგან.

4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. სემესტრული გადასახადი და სტუდენტთა საუნივერსიტეტო დაფინანსება

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასური სწავლების ყველა საფეხურზე განისაზღვრება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

2. „ამოღებულია“

3. სახელმწიფო გრანტით ნაწილობრივი დაფინანსების მქონე სტუდენტებმა სახელმწიფო დაფინანსებასა და სწავლის რეალურ საფასურს შორის სხვაობა უნდა დაფარონ უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში.

4. უნივერსიტეტსა და სტუდენტს/პროფესორს სტუდენტს შორის ხელშეკრულებით განისაზღვრება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შესაბამისი პროგრამით სწავლის

საფასური, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის მთელი ხანგრძლივობის პერიოდში მასში შესაძლო ცვლილებების შეტანის პირობები. დაუშვებელია უნივერსიტეტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გაზრდა ხელშეკრულების პირობების დარღვევით. ხელშეკრულების პირობები სწავლის საფასურთან დაკავშირებით ცნობილი უნდა იყოს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის აბიტურიენტთა რეგისტრაციის დაწყებამდე. აღნიშნული პირობები უცვლელად ხდება ხელშეკრულების ნაწილი. სტუდენტისთვის/პროფესიული სტუდენტისთვის უნივერსიტეტში ჩარიცხვის წელს დადგენილი სწავლის საფასურის ცალმხრივად გაზრდა შესაძლებელია გარემოებების არსებითი ცვლილების დროს, რაც დგინდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

5. ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა ნიშნავს პირველკურსელთა მიერ, დადგენილ ვადებში შესაბამისი დოკუმტაციის წარმოდგენასა და რეგისტრაციის გავლას, რომლის შემდგომაც სტუდენტი უნივერსიტეტის მიერ დადგენილ ვადებში იხდის სწავლის საფასურს.

6. სტუდენტის მიერ, დადგენილ ვადებში სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში სასწავლო პროცესში თვითნებური მონაწილეობა არ წარმოშობს მის უფლებას მოითხოვოს მიღებული მომსახურების (შუალედური შეფასებების) აღიარება.

7. გაცვლითი სასწავლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის პერიოდში არ უჩერდება სტუდენტის სტატუსი. იგი უფლებამოსილია უცხოეთში გამგზავრებამდე ან/და იქ სწავლის პერიოდში გადაიხადოს უნივერსიტეტში მიმდინარე პერიოდის სწავლის საფასური, თუმცა გადაუხდელობის შემთხვევაში მას არ შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი (მხოლოდ, უცხოეთიდან ჩამოსვლისა და უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებამდე).

8. გაცვლითი სასწავლო პროგრამის (პროექტის) მონაწილე სტუდენტი ვალდებულია სტუდენტებისათვის დადგენილი, გასული სემესტრის (სემესტრების) სწავლის საფასური გადაიხადოს სრულად, უცხო ქვეყანაში სწავლების პერიოდის დასრულების შემდეგ უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებისთანავე (არაუგვიანეს 14 კალენდარული დღისა), ხოლო მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური - მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში.

9. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლებლად დაბრუნების შემდეგ შედგენილი „პროგრამების თავსებადობის დასკვნის“ მიხედვით განსხვავებული საგნების (კრედიტების) ათვისების საჭიროებისას, სტუდენტი, რომელსაც გადახდილი აქვს უცხოეთში სწავლის პერიოდის სწავლის საფასური სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დამატებით არ იხდის ამ კრედიტების საფასურს.

10. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდისაგან, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების საფასურის ფარგლებში, წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტლებით შეიძლება გათავისუფლდნენ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები, რომლებიც არიან მშობლების მზრუნველობას მოკლებულნი (დედ-მამით ობოლი ან უფო-უკვლოდ დაკარგულად/გარდაცვლილად აღიარებული მშობლების შვილები). წარმომადგენლობითი

საბჭოს გადაწყვეტილება გამოიცემა სემესტრის დაწყებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) თვისა სტუდენტის განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის შემთხვევაში. წარმომადგენლობითი საბჭო უფლებამოსილია ამ კატეგორიის სტუდენტი გაათავისუფლოს უნივერსიტეტში სწავლის საფასურის გადახდისაგან:

ა) მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასაწყისიდან, თუკი განთავისუფლების ამ პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი არსებობდა ამ სემესტრის დაწყებამდე, თუმცა განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა სტუდენტმა საპატიო მიზეზით დააგვიანა (წარმოდგენა სემესტრის დასრულებამდე);

ბ) მომდევნო სასწავლო სემესტრის დასაწყისიდან, თუკი განთავისუფლების ამ პუნქტით გათვალისწინებული საფუძველი მიმდინარე სემესტრის განმავლობაში ან მომდევნო სემესტრის დაწყებამდე და სტუდენტმა წარმოადგინა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით.

11. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი აქტივობის ხელშეწყობის მიზნით სასწავლებელი ახდენს უნივერსიტეტის სტუდენტის უცხო ქვეყანაში კონფერენციაზე/სემინარზე/კონგრესზე დასწრების (მონაწილეობის) ნაწილობრივ ან სრულ დაფინანსებას. ასეთ ღონისძიებაში მონაწილეობის შესახებ სტუდენტის განცხადებას განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო, რომლის დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი სამსახურებრივი ბარათით მიმართავს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ გამოიცემა შესაბამისი ბრძანება, თუკი სტუდენტების დაფინანსებისათვის ხარჯი ერთი სემესტრის განმავლობაში არ აღემატება შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტთა მიერ წინა სემესტრში გადახდილი სწავლის საფასურის საერთო რაოდენობის 1 (ერთ) %-ს. ამასთან, ერთი სტუდენტის დაფინანსების თანხა არ უნდა აღემატებოდეს 1000 (ათას) ლარს. (ცვლილება შეტანილია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 მარტის #22 დადგენილებით (ოქმი#6))

მუხლი 11. დამატებითი სემესტრის გავლა

1. სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ვადებსა და დაფინანსების (სემესტრული გადასახადის) ფარგლებში განმეორებით გაიაროს ცალკეული სასწავლო კურსი სემესტრულ სამუშაო ნორმად დადგენილი კრედიტების ოდენობით.

2. სტუდენტს, რომელმაც საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ ვადებში ვერ მოიპოვა შესაბამისი აკადემიური ხარისხი, უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო არაუმეტეს ოთხი სემესტრის განმავლობაში. პროფესიულ სტუდენტს უფლება ეძლევა თვითდაფინანსების გზით დაასრულოს სასწავლო პროგრამა მომდევნო არაუმეტეს ორი სემესტრის განმავლობაში.

3. დამატებითი სემესტრის სტუდენტის სწავლის საფასური განისაზღვრება დეკანის განკარგულებით კრედიტების მოცულობის მიხედვით სემესტრული გადასახადის შესაბამისად, შემდეგი წესით:

ა) სემესტრში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამის სრულად გავლის შემთხვევაში საფასური განისაზღვრება მიმდინარე სასწავლო წელს დადგენილი ტარიფით;

ბ) ცალკეული სასწავლო კურსის შესწავლისას სწავლის საფასური განისაზღვრება საგნისათვის მინიჭებული კრედიტის მოცულობის მიხედვით და ერთი კრედიტის ღირებულება განისაზღვრება შემდეგნაირად: სემესტრული გადასახადი შეფარდებული 30 – თან.

4. ბაკალავრიატის სწავლების საფეხურზე დამატებით სემესტრებში სტუდენტს უფლება ეძლევა 240 კრედიტის შესასრულებლად აირჩიოს საგნები 30-45 კრედიტის ფარგლებში ისე, რომ ერთი სასწავლო წლის კრედიტების საერთო რაოდენობამ არ გადააჭარბოს 75-ს.

5. მაგისტრატურის დამატებით სემესტრებში სტუდენტს უფლება ეძლევა 120 კრედიტის შესასრულებლად აირჩიოს საგნები 30-45 კრედიტის ფარგლებში ისე, რომ ერთი სასწავლო წლის კრედიტების საერთო რაოდენობამ არ გადააჭარბოს 75-ს.

6. ბაკალავრს/მაგისტრანტს, რომელიც მისთვის დადგენილ ვადაში, სემესტრის დასრულებამდე, ფაკულტეტზე წარმოადგენს საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომს და ვერ დაიცავს საპატიო მიზეზით, უფლება ეძლევა, მომდევნო, დამატებით სემესტრში, ადმინისტრაციული რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადაში, გადაიხადოს მომსახურების საფასური 50 (ბაკალავრიატში) ლარის ოდენობით (მაგისტრატურაში მომსახურების საფასურს არ იხდის) და დაიცვას საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომი ფაკულტეტის მიერ განსაზღვრულ პერიოდში.

7. სტუდენტს, რომელიც დამატებითი სემესტრებით გათვალისწინებულ ვადებშიც ვერ დააგროვებს შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭებისათვის საჭირო კრედიტებს, უწყდება სტუდენტის სტატუსი და იძენს კურსმოსმენილის სტატუსს, რომელიც დასტურდება აკადემიური ცნობით.

8. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში მოდიფიცირებულ ან მომიჯნავე/მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების შემთხვევაში, სტუდენტი არ იხდის განსხვავებული საგნების ათვისებისათვის საჭირო კრედიტების საფასურს. (ცვლილება შეტანილია სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 მარტის #22 დადგენილებით (ოქმი#6))

მუხლი 12. საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში შესრულებული კრედიტების აღიარება

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების, აგრეთვე მობილობის ფარგლებში უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით ჩარიცხულთა მიერ საქართველოსა და უცხოეთის უსდ-ში მოსმენილი სასწავლო კურსის კრედიტების აღიარება ხდება აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად.

მუხლი 13. გამოცდების ჩატარების წესები

1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც დადგენილ ვადებში გადახდილი აქვს სწავლის საფასური სრული მოცულობით და შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) დანიშნულ გამოცდაზე გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით ან გამოცხადება და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის არასაპატიო მიზეზით დატოვება;

ბ) შეფასების მიღება გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური

- ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით და სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენებით;
- გ) გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი ჩანაწერების (ე.წ. “შპარგალკა”) გამოყენება;
- დ) აუდიტორიიდან გაძევება საგამოცდო დიციპლინური ნორმების დარღვევის გამო;
- დ) დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის 50%-ზე ნაკლების მიღება;

2. დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება ან გამოცდაზე უარის თქმა შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მოთხოვნის საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით, რაზეც ფაკულტეტის დეკანი გამოცემს შესაბამის ბრძანებას.

3. გამოცდის განმეორებით ჩაბარების პირობები:

ა) 41-დან 50 ქულამდე სემესტრული შეფასების პირობებში სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე;

ბ) სემესტრულ, დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომლის წინასაგამოცდო კომპონენტებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებათა ჯამი 41 ქულაზე არანაკლებია, კიდევ ერთხელ ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე;

გ) საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის არადაამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, მისი განმეორებით დაცვაზე წარმოდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;

4. სტუდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ბრძანების საფუძველზე დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადებში.

5. თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია თვითდაფინანსების გზით განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი.

6. ძირითად ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ძირითადი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ჩაბარება დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი. ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის მიზეზს წარმოადგენს სახელმწიფო ან უნივერსიტეტის ინტერესი, ან როდესაც დასტურდება გამოცდაზე გამოცხადების ფიზიკური შეუძლებლობა. გადაწყვეტილებას საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ, მომდევნო სემესტის დაწყებამდე, გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნის თაობაზე დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

7. ძირითად და დამატებით გამოცდებზე არადაამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ბრძანების საფუძველზე, თვითდაფინანსების გზით განმეორებით მოიმენს შესაბამის სასწავლო კურსს.

8. სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. სტუდენტის მიღწევების შეფასება სწავლების ყველა საფეხურზე ხორციელდება შემდეგი წესით:

- ა. ცალკეულ საგნებში სტუდენტთა ცოდნის შეფასება, ასევე საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
- ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია მაქსიმალური შეფასების 51%.
- გ. საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია მაქსიმალური შეფასების 51%.

2. შეფასების სისტემით დასაშვებია

ა). ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 % და მეტი;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 %
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 %
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 %
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 %

ბ). ორი სახის უარყოფით შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დასკვნითი შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

3. უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

4. სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:

- შუალედური შეფასებები (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
- დასკვნითი შეფასება.

5. სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები (ცვლილება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 მაისის #24 დადგენილებით (ოქმი#6)).

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

6. საბოლოო შეფასება გამოითვლება ცალკეულ კომპონენტებში მიღებული ქულების ჯამით.

7. დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება დასკვნითი გამოცდისათვის

დადგენილი მაქსიმალური შეფასების 51% და მეტი. დასკვნით გამოცდაზე 50% და უფრო ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს წინასაგამოცდო კომპონენტებში მიღებული შეფასებებით ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 51% და მეტი, განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას. ასევე განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას სტუდენტი, თუ მიიღებს დადებით შეფასებას, მაგრამ სემესტრულ შეფასებაში ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-დან 50%-მდე, ხოლო 41%-ზე ნაკლები შეფასების დაგროვების შემთხვევაში (მიუხედავად დასკვნით გამოცდაზე მიღებული დადებითი შეფასებისა) კურსს გაივლის განმეორებით.

8. დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომლის შეფასებაცაა ჯამში შეადგენს მაქსიმალური შეფასების 41-50%-ს, ეძლევა კურსის განმეორების გარეშე დასკვნითი გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება, 41%-ზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში კურსს გაივლის განმეორებით.
9. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვრდრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შუალედური შეფასების კომპონენტშიც განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ცვლილება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 მაისის #24 დადგენილებით (ოქმი#6)).
10. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის/საგნის თავისებურების გათვალისწინებით, შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები შეიძლება ჩატარდეს წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად.
11. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:
 - ა) ფრიადი (*summa cum laude*) – შესანიშნავი ნაშრომი;
 - ბ) ძალიან კარგი (*magna cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;
 - გ) კარგი (*cum laude*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
 - დ) საშუალო (*bene*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
 - ე) დამაკმაყოფილებელი (*rite*) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
 - ვ) არადამაკმაყოფილებელი (*insufficienter*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
 - ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (*sub omni canone*) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.ამ მუხლის "ა"- "ე" პუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.
12. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით: ოპონენტის მიერ თემის შეფასება - მაქსიმალური შეფასების 60%; პრეზენტაცია - მაქსიმალური შეფასების 40%. ოპონენტის შეფასება დადებითად ითვლება, თუ თემა შეფასდება 50% და მეტით. სემინარის პრეზენტაცია ფასდება მაქსიმალური შეფასების 40%-ის ფარგლებში წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. პრეზენტაციაში დადებით შეფასებად ითვლება დადგენილი მაქსიმალური შეფასების 51% და მეტი. მთლიანობაში დადებით შეფასებად ითვლება მაქსიმალური შეფასების 51% და მეტი. ერთ-ერთ კომპონენტში უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, მთლიანი შეფასება ითვლება უარყოფითად.
13. სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში

პროგრამით გათვალისწინებულ 60 კრედიტის ზევით დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.

14. სტუდენტის მიერ დამატებითი სალექციო კურსების მოსმენა ხორციელდება ძირითად ჯგუფებთან ერთად.

15. დამატებით სალექციო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება ფაკულტეტებზე სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში.

16. თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები.

17. პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

18. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტით ან/და მოდულით.

19. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. თუ ამ შედეგების მიღწევის შეფასება სხვა მოდულის განხორციელებისთვის არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა.

5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

1. უმაღლესი განათლების ცალკეული საფეხურების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა დოქტორანტურა) და ასევე პროფესიული პროგრამების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია.

2. პროფესიული პროგრამების და ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს კვალიფიკაციას ანიჭებს უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული-ფაკულტეტი.

3. ბაკალავრისა და მაგისტრის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს უნივერსიტეტის შესაბამისი ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული-ფაკულტეტი.

4. დოქტორის აკადემიურ ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო შესაბამისი დებულების მოთხოვნათა დაცვით.

5. სწავლის ყოველი საფეხურის გავლის შემდეგ გაიცემა სათანადო დიპლომი სტანდარტული დანართით.

ცვლილებები შეტანილია:

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 25 ივნისის #33 დადგენილებით (ოქმი#7)

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 05 აგვისტოს #39 დადგენილებით (ოქმი#8)

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 12 აგვისტოს #42 დადგენილებით (ოქმი#9)

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 სექტემბრის #47 დადგენილებით (ოქმი#7)

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 მაისის #24 დადგენილებით (ოქმი#6)

სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 მარტის #22 დადგენილებით (ოქმი#6))